ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა
კომისიის სხდომის ოქმი #61

21 მაისი, 2021 წელი
14:00 საათი
(ბიუროს სხდომათა ოთახი)

ა/წ 21 მაისს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.
სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. გიორგი ბირბიჩაძე;
2. მიხეილ ამაშუკელი;
3. ვლადიმერ ძნელაძე;
4. მიხეილ მესხი;
5. ზაზა მამალაძე.

მოწვეული სტუმრები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი - გელა ჩივიაშვილი;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს აღმასრულებელი მდივანი - გიგა სოფრომაძე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72-136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე.

გიორგი ბირბიჩაძემ მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრე წევრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღის წესრიგი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს აღმასრულებელი მდივანმა გიგა სოფრომაძემ წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ისაუბრა აღნიშნული პროექტის ძირითადი არსის შესახებ.

თანამედროვე ქალაქის აუცილებელი მახასიათებელია საზოგადოებრივი სერვისების მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა, რაც გულისხმობს ქალაქის ინფრასტრუქტურით საჯარო თუ კერძო ობიექტებითა და სერვისებით მარტივი სარგებლობის შესაძლებლობას ყველასათვის. ვინაიდან ასეთი ტიპის ქალაქის განვითარება შეუძლებელია კარგად გააზრებული ხედვისა და მიზანმიმართული, კოორდინირებული სტრატეგიული გეგმის გარეშე. ქ.თბილისის 2021-2024 წწ. შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა (შემდგომში - სამოქმედო გეგმა) წარმოადგენს სწორედ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით შემუშავებულ პირველ ასეთ დოკუმენტს, რომლის მიზანია ქ.თბილისის ინკლუზიური განვითარება და მის ყოველდღიურ ცხოვრებაში შშმ პირთა თანაბრად მონაწილეობის უზრუნველყოფა შესაბამისი შესაძლებლობების განვითარებით.

სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია კონცეპტუალური ხედვა, პრიორიტეტული სტრატეგიული მიმართულებები და დასახულია კონკრეტული, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში გასატარებელი ღონისძიებები. პასუხისმგებელი უწყებებისთვის ის წარმოადგენს გზამკვლევს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა შესაძლო სფეროსა და სივრცეში შშმ პირთა მონაწილეობის პროგრესული ზრდისთვის. იგი ეფუძნება არსებული მდგომარეობის შესწავლას, ითვალისწინებს შშმ პირთა უფლებების გაეროს 2006 წლის კონვენციისა და 2020 წელს მიღებულ ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის პრინციპებს.

სამოქმედო გეგმა შემუშავებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მიერ შშმ პირების, მათი წარმომადგენლობითი და უფლებადამცველი ორგანიზაციების მონაწილეობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიებთან კონსულტაციებით და ასახავს მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებსა და მოთხოვნებს.

ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა წარმოადგინა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების

შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72-136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის თანახმად, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72-136 დადგენილების პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესში” (შემდგომში-წესი) (დანართი №5) კერძოდ, იცვლება მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი, მე-6 პუნქტი და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“, „დ“ ქვეპუნქტი, ამასთან ამავე პუნქტს ემატება „დ[1]“ ქვეპუნქტი. წარმოდგენილი პროექტის მიხევით:

ა) მე-4 მუხლის:

ა.ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მედიკამენტი „ტრასტუზუმაბი“ მოსარგებლეებს გადასხმის სქემიდან გამომდინარე, ინტრავენური ფორმის შემთხვევაში, უფინანსდებათ მაქსიმუმ 18 (პირველი ინფუზიის 8მგ/კგ სქემით დაწყების, ხოლო ყოველი მომდევნო ინფუზიის 6 მგ/კგ სქემით გაგრძელების შემთხვევაში), 27 (პირველი ინფუზიის 4 მგ/კგ სქემით დაწყების, მომდევნო 11 ინფუზიის 2მგ/კგ სქემით, ხოლო დანარჩენი 15 ინფუზიის 6მგ/კგ სქემით გაგრძელების შემთხვევაში), ან 52 (პირველი ინფუზიის 4 მგ/კგ სქემით დაწყებისა, ხოლო ყოველი მომდევნო ინფუზიის 2მგ/კგ სქემით გაგრძელების შემთხვევაში და კანქვეშ შესაყვანი ფორმის შემთხვევაში ფიქსირებული დოზა 600 მგ ყოველ 3 კვირაში პაციენტის წონის მიუხედავად ინფუზიის მოცულობით, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“და „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მედიკამენტები „პერტუზუმაბი+ ტრასტუზუმაბი“, მოსარგებლეებს უფინანსდებათ მაქსიმუმ 12 ინფუზიის (პერტუზუმაბის საწყისი დოზა 840 მგ, ყოველი მომდევნო 420 მგ, ხოლო ტრასტუზუმაბი ზემოაღნიშნული სქემის მიხედვით) მოცულობით. ხოლო მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მედიკამენტი „ფესგო“ მოსარგებლეებს უფინანსდებათ მაქსიმუმ 12 ინფუზიის (საწყისი დოზა (1200მგ+600მგ+30000ერთეული)/15მლ, ყოველი მომდევნო (600მგ+600მგ+20000ერთეული)/10მლ მოცულობით.“;

ა.ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მედიკამენტი „ლაპატინიბი“ (250მგ, ტაბლეტი N70, კონტეინერი N1) მოსარგებლეებს უფინანსდებათ სქემით 5 ან 6 აბი ერთხელ დღეში.“.

ბ) მე-9 მუხლის პირველი პუნქტის:

ბ.ა) „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მედიკამენტის „ტრასტუზუმაბი“ (დოზა – 440მგ/ფლაკონი + 20მლ გამხსნელი (საინექციო წყალი, ინტრავენური ფორმა) მინის ფლაკონი №1 ან/და 600მგ/5მლ 5მლ კანქვეშ შესაყვანი საინექციო ხსნარი ფლაკონი №1) ქვეპროგრამის ფარგლებში არაუმეტეს 2000 ლარის ტარიფით მიწოდება;

დ) ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მედიკამენტების „პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი“ (დოზა – 420მგ+14მლ) კონცენტრატი+440მგ/ფლაკონი+20მლ გამხსნელი ი.ვ.

საინფუზიო ხსნარის მოსამზადებლად ფლაკონი №1 ან დოზა – 420მგ+14მლკონცენტრატი+600მგ/5მლ 5მლ კანქვეშ შესაყვანი საინექციო ხსნარი ფლაკონი №1) კომბინაციის შემთხვევაში, 1 ფლაკონი „პერტუზუმაბისა" და მოსარგებლის საჭიროებიდან გამომდინარე „ტრასტუზუმაბის" შესაბამისი რაოდენობის ფლაკონების ქვეპროგრამის ფარგლებში არაუმეტეს 4695 ლარის ტარიფით მიწოდება;";

ბ.ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ[1]" ქვეპუნქტი:

„დ[1]) ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მედიკამენტის „ფესგოს" (დოზა – (600მგ+600მგ+20,000 ერთეული)/10მლ 10მლ კანქვეშ შესაყვანი საინექციო ხსნარი ფლაკონი №1 4695 ლარის ტარიფით, ხოლოიგივე მედიკამენტის (1200მგ+600მგ+30,000 ერთეული)/15მლ 15მლ კანქვეშ შესაყვანი საინექციო ხსნარი ფლაკონი №1) ქვეპროგრამის ფარგლებში არაუმეტეს 9390 ლარის ტარიფით მიწოდება;".

აქვე საკითხის წარმომდგენმა ითხოვა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია დაეთანხმა, წარმოდგენილ პროექტში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბ) მე-9 მუხლის პირველი პუნქტის:

ბ.ა) „გ" და „დ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მედიკამენტის „ტრასტუზუმაბი" (დოზა – 440მგ/ფლაკონი + 20მლ გამხსნელი (საინექციო წყალი, ინტრავენური ფორმა) მინის ფლაკონი №1 ან/და 600მგ/5მლ კანქვეშ შესაყვანი საინექციო ხსნარი ფლაკონი №1 (5მლ) ქვეპროგრამის ფარგლებში არაუმეტეს 2000 ლარის ტარიფით მიწოდება;

დ) ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მედიკამენტების „პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი" (დოზა – 420მგ+14მლ) კონცენტრატი+440მგ/ფლაკონი+20მლ გამხსნელი ი.ვ. საინფუზიო ხსნარის მოსამზადებლად ფლაკონი №1 ანდოზა – 420მგ+14მლკონცენტრატი+600მგ/5მლ კანქვეშ შესაყვანი საინექციო ხსნარი ფლაკონი №1 (5მლ) კომბინაციის შემთხვევაში, 1 ფლაკონი „პერტუზუმაბისა" და მოსარგებლის საჭიროებიდან გამომდინარე „ტრასტუზუმაბის" შესაბამისი რაოდენობის ფლაკონების ქვეპროგრამის ფარგლებში არაუმეტეს 4695 ლარის ტარიფით მიწოდება;";

ბ.ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ[1]" ქვეპუნქტი:

„დ[1]) ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მედიკამენტის „ფესგოს" (დოზა – (600მგ+600მგ+20,000 ერთეული)/10მლ კანქვეშ შესაყვანი საინექციო ხსნარი ფლაკონი №1 (10მლ) 4695 ლარის ტარიფით, ხოლო იგივე მედიკამენტის (1200მგ+600მგ+30,000 ერთეული)/15მლ კანქვეშ შესაყვანი საინექციო ხსნარი ფლაკონი №1 (15მლ) ქვეპროგრამის ფარგლებში არაუმეტეს 9390 ლარის ტარიფით მიწოდება;"

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების

პროექტი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72-136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი შესახებ კენჭისყრაზე დააყენა:

მომხრე: 5

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

<u>კომისიამ დაადგინა</u>

პროექტები წარმოდგენილი ცვლილებებით განხილულ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის . უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ბირბიჩაძე